ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №97

2014 წლის 23 ივლისი,
ქ. ბათუმი

„რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55–ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 1 მარტის №14 დადგენილების მე–3 მუხლის „ა“ პუნქტი;

2. შეტანილი იქნას ცვლილებები „რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებაში, კერძოდ, დანართი 1–ის მე–5 მუხლის 18^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18^1. დასკვნით გამოცდაზე 21 ქულაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამი შეადგენს 40 ქულაზე მეტს. ამ შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, რომელზეც 50%–ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში ითვლება ჩაჭრილად და გაუფორმდება შეფასება “F”:

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**